

## ლია ქაროსანიძე

### -ად ბოლოსართიანი მიმღეობისათვის ქართულში

აკაკი შანიძე ქართული გრამატიკის საფუძვლებში განიხილავს -ად ბოლოსართით ნაწარმოებ სახელებს: „ვითარებითი ნიშანი ზედსართავ სახელებს აწარმოებს არსებითთაგან: **თვალადი, ტანადი, ფერადი, პურადი, გულადი, პირადი**. ეგევე მაწარმოებელი (-ად) ჩანს თავადში და სულადში. მხოლოდ ესენი არსებითებია. იგივე წარმოებაა ზედსართავ სახელებშიც: **დიდი – დიადი, მცირე – მცირედი, პირველი – პირველადი**. ეგევე სუფიქსი გამოყენებულია წილობით სახელთა საწარმოებლად: **მესამედი, მეთათედი**“. აკაკი შანიძე ცალკე გამოყოფს ერთ ახალ კატეგორიას და ამბობს: „აღნიშნული წარმოება ამჟამად ძალიან იფართოებს მოქმედების არეს: ტექნიკური ლიტერატურის ენაში ჩვეულებრივი ხდება მსგავსად გაკეთებული ფორმები: საწყისთაგან: **კედადი, ფეთქადი, დენადი, ხსნადი, ხურებადი, კუმშვადი**“ [შანიძე 1973: 147-148].

ბოლო ხანს -ად ბოლოსართით ნაწარმოები სიტყვები გახშირდა არამხოლოდ ტექნიკურ ლიტერატურაში, არამედ მასმედიის ენაშიც: **ყურებადი, დაღლადი, ცნობადი, მოხმარებადი, სმენადი** და სხვ. 2009 წელს ამასთან დაკავშირებით საგანგებო სტატია აქვეყნებს ს. ომიადე „-ად/-დ მაწარმოებლის სიტყვათწარმომქმნელი ფუნქციის გააქტიურება თანამედროვე მასმედიის ენაში“. მკვლევარი განიხილავს -ად ბოლოსართს, როგორც თვისების მაწარმოებელს, ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა: **თვალი – თვალადი, ტანი – ტანადი, ფერი – ფერადი, პური – პურადი** და სხვ. ავტორის აზრით, თვისების ხასიათის მხრივ ერთ სიბრტყეზე ვერ განვითარდებით არსებითთაგან და საწყისთაგან -ად/-დ ბოლოსართით ნაწარმოებ სახელებს, არსებითთაგან ნაწარმოები ზედსართავებით გამოხატული თვისება აღნიშვნის მომენტშიც რეალიზებულია, მაგალითად, ტანადი, თვალადი და სხვ., ხოლო საწყისის ფუძეზე -დ (-ად) ბოლოსართის დართვით იმ თვისების გამოხატვა ხდება, რომელიც აღნიშვნის მომენტში არ არის რეალიზებული, მაგრამ შესაძლებელია, მაგალითად, **ხსნადი** ყავა დასახელების მომენტში გრანულებს, მკვრივ მარცვლებს წარმოადგენს, რომლებიც წყლის დასხმის შემთხვევაში გაიხსნება, გულადი 152

კი ის არის, ვინც შეფასების მომენტშიც მამაცია და საერთოდაც [ომი-აძე 2009: 163-164].

მსგავს ფორმათა გაჩენას ს. ომიადე რამდენიმე მიზეზით ხსნის: 1. შესაძლებლობის გამოხატვის სურვილი და ენაში არსებული სათანადო ფორმოზრივი ყალიბი. მკვლევარმა ამ ფორმებს პოსიბილიტიურები უწოდა; 2. ეკონომიურობისაკენ სწრაფვა; 3. უცხო ენათა გავლენა. ს. ომიადე ამ მაწარმოებლებს 60-70 წლის წინ გაჩენილად მიიჩნევს. არც ა.შანიძე და არც ს. ომიადე ძველ ქართულში არსებულ მსგავს წარმოებას არ ეხებიან.

განსხვავებულად განიხილავს -ად მაწარმოებელს ს. ყაუხჩიშვილი 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბერძნულ-ქართული გრამატიკული პარალელები“. მკვლევარი ამ ბოლოსართით ნაწარმოებ ფორმებს მიმღეობას უწოდებს: „ცნობილია მიმღეობის სამი სახე:

1. მოქმედებითი გვარის მიმღეობა: გა-მ-კეთებ-ელ-ი
2. ვნებითი გვარის მიმღეობა წარსულისა: გა-კეთებ-ულ-ი
3. ვნებითი გვარის მიმღეობა მომავლისა: გა-სა-კეთებ-ელ-ი.

მაგრამ გვხვდება ძველ ქართულ, ბერძნულიდან ნათარგმნ ძეგლებში კიდევ მეოთხე სახის მიმღეობა, მაგალითად: **აღზრდადი, გარდაცვალებადი, მოკუდინებადი, ქმნადი, შემთხვევადი, წოდებადი**“ [ყაუხჩიშვილი 1969: 218].

ს. ყაუხჩიშვილს ამ ფორმების მიმღეობად მიჩნევას ავარაუდებინებს ორი რამ:

1. ისინი ნაწარმოებია ზმნური საწყისებიდან;
2. მასალებში, რომლებშიც ეს ფორმებია, ქართველ მთარგმნელს წინ ჰქონდა ბერძნულ ტექსტში ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა:

აღზრდადი – τραφισάμενον (τρέφα)

გარდაცვალებადი – μετελευσόμενον (μετέχομαι)

მოკუდინებადი – τεθνηξομένους (θνήσκω)

ქმნადი – γεινησόμενον (γινώ)

შემთხვევადი – συμβησόμενον (συμβαίνω)

წოდებადი – κληθισομένους (καλέω) [ყაუხჩიშვილი 1969: 218-219].

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ყურადსაღებია ისიც, რომ ყველა ზემოთ მოყვანილ შემთხვევას ბერძნულ ტექსტში შეეფარდება ვნებითი გვარის მომავალი დროის მიმღეობა (Participium futuri passivi).

მკვლევრის დასკვნითვე, -ად-იანი მიმდებარეობა მომავალ დროს გულისხმობს: „გარნა არა თვნიერ ვნებისა გინა დაჯერებისა **აღსრულე-ბადისა** მის წინამძღურისა“ ἄλλ’ οὐ τοῦ προεστῶσας καὶ τῆς εὐπειθείαις τοῦ τεθιῶναι μέλλουτος (ამ წინადადების აზრი ასეთია: „მონასტრის ახალი წინამძღურის არჩევა უნდა მოხდეს ძველი წინამძღურის (რომელიც კვდება თუ მოკვდება) ნების გარეშე“), პეტრიწონის წესდება 44, 28; ქართ. 22, 34 [ყაუხჩიშვილი 1969: 219].

მაშასადამე, სიმონ ყაუხჩიშვილისათვის -ად-ით ნაწარმოები ნაზმნარი სახელები მომდებარის ახალი სახეა, რომლისათვისაც არსებობითა შემდეგი:

1. მუდამ შეესატყვისება ბერძნული Part. Futuri passivi;
2. მნიშვნელობით მომავალ დროს წარმოადგენს (τοῦ τεθιῶναι μέλλουτος – „რომელიც უნდა გარდაიცვალოს“, „რომელიც სულთმოზრმავია).“

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ს. ყაუხჩიშვილი იოსებ ფლავიოსის „იუდაებრივ სიძველეთა“ ტექსტში ადასტურებს მომავალი დროისა და აწმყო დროის მიმდებარების დაპირისპირების შემთხვევას: βασιλευσῶν - მმეფობადი (მომავალი დრო) და βασιλευσῶν - მმეფობი (აწმყო დრო).

ს. ყაუხჩიშვილი ყურადღებას აქცევს ორიგინალურ ქართულ ძეგლებსაც. მსგავსი ფორმები დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“:

„იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა  
ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა **მოწევნადსა**“.

**მოწევნადი** ბალმონტს ასე აქვს თარგმნილი: Что идёт, придти должно [ყაუხჩიშვილი 1969: 218].

როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ იოანე პეტრიწი „განმარტებაში“ (თავის ორიგინალურ გამოკვლევაში) ხშირად ხმარობს -ად სუფიქსით გაკეთებულ მიმდებარეს: **აღებადი**, **გამოთქუმადი**, **განზნევადი**, **განწვალებადი**, **განყოფადი**, **განჭრადი**, **გრძნობადი**, **ზიარებადი**, **მოდრეკადი**, **ქცევადი**, **შობადი**, **წარდგინებადი** და სხვ.

ცხადია, აქ ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს: ხომ არ იყო -ად ბოლოსართიანი წარმოება ქართულისათვის ბუნებრივი. -ად ბოლოსართის დიალექტებში შესწავლა ამ კითხვას პასუხს, ვფიქრობთ, გასცემს, დღეს კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ ერთი: -ად ბოლოსართიანი ვნებითი, რომელიც ბერძნულის გრამატიკული თავი-

სებურების გადმოსაცემად გამოიყენეს ქართველებმა, დღეს ისევ გააქტიურდა. ბუნებრივია, დაისმის კითხვა – უნდა მივიღოთ თუ არა თანამედროვე ქართულში ფაქტობრივად უკვე დამკვიდრებული ფორმები, როგორებიცაა: **ყურებადი**, **ფუჭებადი**, **ცნობადი** (ძველისაგან განსხვავებული მნიშვნელობით), **გაყიდვადი** და სხვ. ახალ სიტყვებად (ნეოლოგიზმებად)?

ვფიქრობთ, **-ად** ბოლოსართიან ფორმათა მოჭარბება 21-ე საუკუნის ქართულში უდავოდ მოწმობს იმას, რომ ეს წარმოება ქართულისათვის ბუნებრივია, მისი გამოყენების აკრძალვა კი – დაუსაბუთებელი.

## ლიტერატურა

**ომიაძე 2009** – ს. ომიაძე, **-ად/-დ** მაწარმოებლის სიტყვათწარმომქმნელი ფუნქციის გააქტიურება თანამედროვე მასმედიის ენაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVIII, თბილისი.

**შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

**ყაუხჩიშვილი 1969** – ს. ყაუხჩიშვილი, „ბერძნულ-ქართული გრამატიკული პარალელები, აღმოსავლური ფილოლოგია, თბილისი.

Lia Karosanidze

## On the Participle Suffixed with **-ad** in Georgian

### Summary

Nowadays forming words by the suffix **-ad** has become more frequent not only in the technical literature but in the language of the mass-media as well, e.g. *qurebadi* “watchable”, *cnobadi* “knowable,

cognizable”, *moxmarebadi*, *gamoqenebadi* “usable”, *smenadi* “hearable”, etc.

The same word formation was often used in old Georgian translated or original writings. There have been different viewpoints towards the word formation by the suffix **-ad** in Georgian literature. We consider that it is natural for the Georgian language to form words by the suffix **-ad** and it must not be prohibited.